



#6 (38), ივნისი, 2010

იურიდიული დახმარების კლინიკა

სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტში შეიქმნა იურიდიული დახმარების კლინიკა, რომლის მიზანია სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის იურიდიული მომსახურება.

კლინიკაში იურიდიული მომსახურება უფასოა და მოიცავს:

- იურიდიულ კონსულტაციას;
- სამართლებრივი დოკუმენტების მომზადებას;
- განსაკუთრებულ შემთხვევებში წარმომადგენლობას ადმინისტრაციულ ორგანოებში და სასამართლოში.

კლინიკის საქმიანობის ფორმები

- სატელეფონო კონსულტაცია;
- პირადი კონსულტაცია;
- გასვლითი იურიდიული კონსულტაცია (რევიზიებში);
- [ონლაინ კონსულტაცია](#).

თბილისი 0171

26 მაისის მოედანი 2, V სართული

ტელ: (995 32) 94 16 05

ფაქსი: (995 32) 33 04 17

ელ-ფოსტა: legalclinic@civilin.org

ვებ-გვერდი: www.civilin.org/welfare

ყოველთვიურ ელექტრონულ
გამოცემას ამზადებს
სამოქალაქო საზოგადოების
ინსტიტუტი

ვებ-გვერდი: www.civilin.org

სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის საარსებო გარემოს გაუმჯობესებაზე მუშაობს

პროექტის ფარგლებში ინსტიტუტი აშუქებს
ამ სფეროში მომუშავე საზოგადოებრივი ორგანიზაციების
საქმიანობებს, ღონისძიებებს



ვსწავლობთ ერთად

ქუთაისის განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრი (KEDEC), World Vision – საქართველოს და World Vision – შვეიცარიის მხარდაჭერით, ახორციელებს პროექტს – „ინკლუზიური და ინტეგრირებული განათლების მოდელი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებისათვის“. პროექტის მიზანს წარმოადგენს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა და მათი უზრუნველყოფა თანაბარი შესაძლებლობებით, მდგრადი სერვისების დანერგვითა და განვითარების საშუალებით. პროგრამის ფარგლებში მომზადდა სპეციალური სასწავლო პროგრამა ინტეგრირებული კლასისათვის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს

(გაგრძელება იხ. მე-2 გვ.)

ვსწავლობთ ერთად

(გაგრძელება)

მიერ შემუშავებული პირველი კლასის სასწავლო პროგრამაზე დაყრდნობით და ქუთაისის 25-ე საჯარო სკოლის ბაზაზე გაიხსნა ინტეგრირებული კლასი, სადაც ამჟამად ირიცხება 8 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე.

სწავლება მიმდინარეობს ინდივიდუალური სასწავლო გეგმებით, ეროვნული სასწავლო გეგმის გათვალისწინებით. მოსწავლეები ეუფლებიან როგორც აკადემიურ, ისე ფუნქციონალურ უნარ-ჩვევებს, რაც აუცილებელი პირობაა დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის. სწავლება მიმდინარეობს ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა - 9 საათიდან 2 საათამდე. 9-დან 12 საათამდე ხორციელდება სასწავლო პროცესი, ხოლო 12-დან დღის 2 საათამდე ბავშვები სწავლასა და თავისუფალი დროის ორგანიზებას განაგრძობენ რესურს ოთახში, სადაც მიმდინარეობს: ხელოვნების, მუსიკის, განმავითარებელი და შემეცნებითი აქტივობები. საკლასო და რესურს ოთახები აღჭურვილია სასწავლო, თვალსაჩინო დიდაქტიკური მასალითა და ადაპტირებული ავეჯით. კლასში შექმნილი თბილი, სასიამოვნო და კომფორტული ატმოსფერო, მოსწავლეებისათვის დიდი სტიმულია და ისინიც დიდი მონდომებით არიან ჩართულები სასწავლო აქტივობებში.

მოსწავლეები სასწავლო პროცესის გარდა აქტიურად არიან ჩართულები სხვადასხვა ღონისძიებებში. ისინი გადიან არტ-თერაპიის კურსს, სადაც სწავლობენ ქოთნების მოხატვას, ძერწვას, აპლიკაციებით მისალოცი ბარათების დამზადებას, გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშების შექმნას, ხატვას. სამი

თვის განმავლობაში, აღსაზრდელებმა უკვე რამდენიმე ღონისძიებაში მიიღეს მონაწილეობა. რესურს ოთახში გაიმართა ნახატებისა და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშების ინტეგრირებული გამოფენა, სადაც მონაწილეობდნენ ქუთაისის სხვადასხვა საჯარო სკოლების მოსწავლეები. მონაწილეებს გადაეცათ სიგელები და სამახსოვრო საჩუქრები. ასევე ინტეგრირებული კლასის ოთხმა მოსწავლემ მონაწილეობა მიიღო გამოფენაში - "შემოდგომის თბილისი", რომელიც თოჯინების მუზეუმის ინიციატივით გაიმართა. ორიგინალური და მხიარული იყო საახალწლო ღონისძიებაც, სადაც თოვლის პაპამ საჩუქრები დაურიგა პატარებს და სურვილები აუსრულა. სამომავლოდ დაგეგმილია სხვადასხვა საგანმანათლებლო და შემეცნებითი აქტივობები, უახლოეს პერიოდში ბავშვები მხიარულ სტარტებში მიიღებენ მონაწილეობას, რაც ხელს შეუწყობს ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას.

ქ. ქუთაისის 25-ე საჯარო სკოლის ინტეგრირებული კლასის კარი მუდმივად ღიაა დაინტერესებული პირებისათვის.

ქუთაისის განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრი არასამთავრობო, არაკომერციული ორგანიზაციაა, რომელიც 2005 წელს დაფუძნდა და მუშაობს ახალგაზრდების ხელშეწყობის მიმართულებით. დეტალური ინფორმაცია ცენტრის საქმიანობის შესახებ შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე: www.kedec.ge



ქუთაისის განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრის ფოტო არქივი

დაუვიწყარი დღე



ბავშვთა უფლებების დაცვის კვირეულის ფარგლებში, ასევე წმინდა ნინოს საქართველოში შემოსვლის დღესთან დაკავშირებით აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს ინიციატივით, 2010 წლის 5 ივნისს, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებმა ბოდბის დედათა მონასტერში წმინდა ნინოს საფლავი მოინახულეს. ექსკურსია, საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან 35 – მდე, მათ შორის აფხაზეთიდან მყოფი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების ინტეგრირებული ჯგუფისთვის მოეწყო. რომელიც რამდენიმე ნაწილისგან შედგებოდა – ბავშვებმა დაათვალიერეს ბოდბის წმინდა ნინოს სამონასტრო კომპლექსი, შემდეგ ახალგაზრდა ტრენერებმა ბავშვებისთვის გამართეს სხვადასხვა სარეაბილიტაციო, გასაჯობებელი, გასართობი აქტივობები, რომელიც ბავშვების გონებრივ, ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ, სოციალურ რეაბილიტაციას უწყობს ხელს. ბავშვებმა ითამაშეს ბურთი, ბადმინტონი, იმიტირებულ „ამფითეატრში“ მოაწყვეს კონცერტი, სპეციალურად მათთვის მოეწყო სხვადასხვა თამაშებიც, დაიხატა მოზარდების პორტრეტები, ჩაიწერა ინტერვიუები ბავშვებისა და მშობლების

შთაბეჭდილებებზე. ლონისძიებაში მობილური ბიბლიოთეკაც ჩაერთო, რომელმაც ბავშვებისთვის ანიმაციური ფილმების ჩვენება გამართა. ლონისძიება სიმბოლური საჩუქრების გადაცემით დასრულდა. პროექტის მხარდამჭერია ასოციაცია „ახალგაზრდა ტრენერთა თაობა“ და ფონდი „აფხაზეთი“. მისი მიზანია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვების სულიერი ფსიქორეაბილიტაცია, მათი შესაძლებლობების გამოვლენა და განვითარება, მათთვის განათლების პირობების გაუმჯობესება და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა. ბავშვების მხარდასაჭერად, ექსკურსიაში საერთაშორისო კინოფესტივალის ლაურეატი ქართული ფილმის „გაღმა ნაპირის“ გმირი თედო ბექაურიც ჩაერთო. ექსკურსიამ გამართლა. „დაუვიწყარი დღე“ – ასეთი გამოხმაურება მოჰყვა მშობლების მხრიდან, განსაკუთრებით კმაყოფილები იყვნენ ბავშვები.

თქვენ ყოველთვიურად ეცნობით სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის მიერ, სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციების გარემოს გაუმჯობესების პროექტის ფარგლებში, მომზადებულ ელექტრონულ საინფორმაციო ბიულეტენს.

ბიულეტენი თქვენთვის იქმნება და თქვენს სამსახურშია, მოგვწერეთ თქვენი წინადადებები. ელ-ფოსტა: welfare@civilin.org

ბიულეტენის ერთ-ერთი მთავარი
თემა თქვენი საქმიანობა

და ღონისძიებებია. მოგვწერეთ, მოგვაწოდეთ ინფორმაცია ღონისძიებების შესახებ,

ჩვენ კი გთავაზობთ: ღონისძიების ანონსის გავრცელებას

ელექტრონული ფოსტით, ღონისძიების გაშუქებას

საინფორმაციო ელექტრონული ბიულეტენის საშუალებით.

მოგვაწოდეთ ინფორმაცია თქვენი გამოცემების შესახებ და ჩვენ განვათავსებთ მათ პროექტის ვებ-გვერდზე:

<http://www.civilin.org/welfare>

მოგვაწოდეთ ინფორმაცია იმ პროდუქციის შესახებ,

რომელსაც აწარმოებთ სოციალურ სფეროზე ორიენტირებულ საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან არსებულ სახელოსნოებში,

მათ განვათავსებთ პროექტის ვებ-გვერდზე: <http://www.civilin.org/welfare>

ნუ გაუშვებთ შესაძლებლობას
გაეცნოთ და გაგიცნონ

